ს/ნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0406/655/22
Дата: 06/04/2022

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროს
ბ-ნ ირაკლი ჩიდრაშვილს
მის. ი. ჭავჭავაძის გამზ.49ა

01.04.2022 #0401/257/22 (6/17753) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთის (ს.კ.72.16.18.462) მიმდებარედ გადის სს „თელასის" კუთვნილი 110კვ-ის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „დიდუბე 1", „დიდუბე 1ა".

საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.ნაკრძალებში, დასახლებათა გამწვანების ზონაში, პარკებში, საავტომობილო გზისა და რკინიგზის გასწვრივ ქარსაცავ ზოლში-ჰორიზონტალური მანძილით საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპირა სადენებიდან ხეების ვარჯამდე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება., მუხლი 3, პუნქტი ა.გ ქვეპუნქტი ა.გ.გ.).

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით (ელ.დანადგართა მოწყობის წესების ПУЭ პ. 2.5.115).

3.აკრძაკულია გხ გატარება შენობებზე და ნაგებობებზე, გარდა უწვადი მასალებისაგნ დამზადებული სამრეწველო საწარმოების შენობა ნაგებობებისა. მინიმალური მანძილი ვერტიკალში გხ-ის სადენის მაქსიმალური ჩაღუნვის ისრიდან შენობამდე და ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 4 მეტრი (ПУЕ პ. 2.5.114).

4.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება.მუხლი 4, პუნქტი ე).

5.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით

ნაბეჭდი სანქციონირებულია ელექტრონული ელექტრონული
შემოსავლის № 39836/04
„13" 04 2022
2 შემცველი

შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის" შესაბამის სამსახურთან. (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. მუხლი 3, პუნქტი ა.ა.გ. და მუხლი 4 პუნქტი 2).

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი მშენებლობის წარმოების, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის" გენერალური

დირექტორის მ. შ ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების

განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე

ტელ.2 77 99 99 1(7959)